



**ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური**

12 ნოემბერი 2025



N187794

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**შპს „ჯავახავტოგზა“-სთვის წერილობითი გაფრთხილების სახით პასუხისმგებლობის დაკისრების
შესახებ**

შპს „ჯავახავტოგზა“-ს მიერ (ს/ნ - 223352930, მისამართი: ახალციხე, შაუმიანის 1) (შემდგომ - სუბიექტი) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება 2025 წლის 30 სექტემბერს წარედგინა.

სუბიექტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, იგი წარმოადგენს II კატეგორიის საწარმოს და II კატეგორიის ჯგუფის მშობელ საწარმოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სუბიექტი (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა) ვალდებულია მისთვის ამ კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), მმართველობის ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა ერთად, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა, წარუდგინოს სამსახურს მის მიერ დადგენილი წესით“.

კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სდპ, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები და პირველი და მეორე კატეგორიების ჯგუფები ვალდებული არიან, უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით, თუ შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი“.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სამსახური ვალდებულია სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშგებები (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგებები) და აუდიტორული დასკვნები, გარდა მეოთხე კატეგორიის საწარმოების ანგარიშგებებისა, გამოაქვეყნოს მათი წარდგენიდან 1 თვის ვადაში. პირს უფლება აქვს, სამსახურის მიერ დადგენილი წესით მოითხოვოს მეოთხე კატეგორიის საწარმოს ანგარიშგება. სამსახური უზრუნველყოფს სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშგებების ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შერჩევით გადამოწმებას რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია სუბიექტს მოსთხოვოს გამოვლენილი

ხარვეზების აღმოფხვრა“. აღნიშნული მუხლის თანახმად, სამსახურმა განახორციელა წარდგენილი ანგარიშების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და გამოარკვია:

„აუდიტორული ფირმის - შპს „აუდიტ - თა“-ს და აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორის თამარი კაპანაძის მოკვლევის შედეგების შესახებ“ სამსახურის უფროსის 2025 წლის 5 ნოემბრის N562 ბრძანების შესაბამისად, დასრულდა აუდიტორული ფირმის - შპს „აუდიტ - თა“-ს (ს/ნ 204574406, სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-245931) (შემდგომ - ფირმა) და აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორის თამარი კაპანაძის (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-115087) მოკვლევა და ფირმის ერთადერთი გარიგების პარტნიორი - თამარ კაპანაძე ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA Code) (შემდგომ - პროფესიული ეთიკის კოდექსი) დარღვევების გამო ზემოხსენებული ბრძანებით ამოღებულ იქნა აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრიდან. ამასთან, აღნიშნული მოკვლევის ფარგლებში, სუბიექტებთან მიმართებაში საყურადღებოა, რომ 2025 წლის პირველ ოქტომბერს სამსახურმა N16/69320 შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და შეატყობინა, რომ არსებობდა, პირდაპირი საფრთხე, სამსახურის მიერ დაწყებული მოკვლევის დასრულებამდე, საქართველოში რეგისტრირებულ ათეულობით საწარმოს (მათ შორის უმრავლესობა - პირველი და მეორე კატეგორიის საწარმო), კანონითა და შესაბამისი სტანდარტებით დადგენილი ხარისხიანი აუდიტორული მომსახურების ნაცვლად, არაჯეროვნად/არაკვალიფიკაციურად განხორციელებული აუდიტის შედეგად მიეღო რეპუტაციული და შესაბამისად ფინანსური ზიანი. ამასთან, არსებობდა რისკი, რომ არასათანადოდ შესრულებული აუდიტორული მომსახურება შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდებოდა ანგარიშების ნებისმიერი მომხმარებლისთვის (მათ შორის - როგორც ფიზიკური, ასევე კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის), რაც თავის მხრივ ეჭვქვეშ დააყენებდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის - სახელმწიფოში აუდიტი/ანგარიშების რეფორმის გამართულად განხორციელებას.

აღნიშნული შუამდგომლობით სამსახურმა მათ შორის მოთხოვა, ფირმის (შპს „აუდიტ - თა“-სა (ს/ნ 204574406)) და გარიგების პარტნიორის - თამარი კაპანაძის მიერ ხელმოწერილი და სამსახურისთვის წარდგენილი აუდიტორული დასკვნის გამოქვეყნებისთვის კანონით განსაზღვრული 1 თვიანი ვადის ათვლის შეჩერება, სამსახურში მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში არსებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე. 2025 წლის 7 ოქტომბერს სამსახურს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან გადმოეგზავნა N157521/16 წერილი, თანდართულ სასამართლოს 2025 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებასთან ერთად (საქმის ნომერი: 15/246-25), რომლის თანახმად, სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია სამსახურის შუამდგომლობა და დააკმაყოფილა სრულად, მათ შორის, სასამართლოს მხრიდან მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული 1 თვიანი ვადის (კერძოდ, სუბიექტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების ამ კანონით და მის საფუძველზე მიღებულ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შემოწმების ვადის) შეჩერების საკითხი.

კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, უცხოური საწარმოს ფილიალი და ფიზიკური პირი საქართველოში აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას იძენენ რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ...“. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „აუდიტორული (აუდიტური) ფირმა (შემდგომ - აუდიტორული ფირმა) არის საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის ფილიალი საქართველოში, რომელიც რეგისტრირებულია რეესტრში და აუდიტორულ საქმიანობას (მომსახურებას) ახორციელებს გარიგების პარტნიორის (პარტნიორების) მეშვეობით“. ამავე პუნქტის „მ“

ქვეპუნქტის თანახმად, „გარიგების პარტნიორი არის აუდიტორი, რომელიც აუდიტორულმა ფირმამ კონკრეტული აუდიტის ჩატარებისათვის ან სხვა აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელებისათვის მთავარ პასუხისმგებელ პირად დანიშნა და რომელიც აუდიტორული ფირმის სახელით მოქმედებს, ან აუდიტორი, რომელიც ხელს აწერს აუდიტორულ დასკვნას ან სხვა აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების შედეგად შემუშავებულ დოკუმენტს“.

ვინაიდან, სუბიექტის მიერ წარმოდგენილი 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგებების აუდიტი განხორციელებულია აუდიტორული ფირმის (შპს „აუდიტ - თა“) ისეთი აუდიტორის/გარიგების პარტნიორის მიერ, რომელიც მიმდინარე მდგომარეობით ზემოხსენებული N562 (05.11.2025 წ.) ბრძანების საფუძველზე პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევის საფუძველით ამოღებულია აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრიდან, ამდენად თქვენ მიერ სამსახურში წარდგენილი ანგარიშგებები ვერ იქნება მიჩნეული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად წარდგენილ აუდიტირებულ ანგარიშგებებად.

კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სუბიექტს წერილობითი გაფრთხილება ეგზავნება. წერილობითი გაფრთხილებით განსაზღვრულ ვადაში სუბიექტის მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების კანონის მოთხოვნების შესაბამისად წარუდგენლობა გამოიწვევს მის დაჯარიმებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. სამსახური სუბიექტს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად ფულადი ჯარიმის შესახებ აქტით დამატებით ვადას განუსაზღვრავს. სამსახურის მიერ სუბიექტისთვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 1 თვეზე ნაკლები და 6 თვეზე მეტი. აღნიშნულ ვადაში სუბიექტის მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარუდგენლობა გამოიწვევს მის დაჯარიმებას საწარმოს კატეგორიისთვის განსაზღვრული ჯარიმის ორმაგი ოდენობით“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა იმსჯელა და მიიჩნია, რომ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, გამოიყენოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მაქსიმალური ვადა და აუდიტირებული ანგარიშგების წარმოსადგენად საწარმოს განუსაზღვროს ამ ბრძანების გაცნობიდან 6 თვე.

კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ და „მ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2025 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებისა (საქმის ნომერი: 15/246-25) და „აუდიტორული ფირმის - შპს „აუდიტ - თა“-ს და აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორის თამარი კაპანაძის მოკვლევის შედეგების შესახებ“ სამსახურის უფროსის 2025 წლის 5 ნოემბრის N562 ბრძანების საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სუბიექტს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება;
2. სუბიექტს დაევალოს, კანონით დადგენილი წესით ანგარიშგების ატვირთვის ჩანართში ატვირთოს აუდიტირებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება (აუდიტორის დასკვნასთან ერთად) სრულად, ერთ დოკუმენტში და აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება (აუდიტორის დასკვნასთან ერთად) სრულად, ერთ დოკუმენტში ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში;
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას;
4. ეს ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

